სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის საგრანტო მიმართულების გაციფრულების კომპონენტის ფარგლებში დასაშვები ხარჯები

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში გაცემული სესხით საგრანტო მიმართულების გაციფრულების კომპონენტისთვის** დასაშვები ხარჯების ჩამონათვალს.

სახელმწიფო პროგრამის საგრანტო მიმართულების გაციფრულების კომპონენტის ფარგლებში ციფრული ინსტრუმენტის/გადაწყვეტის შემუშავების/შესყიდვის და დანერგვისთვის გაწეულ ხარჯად მიიჩნევა:

ა) პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლება;
ბ) პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურეობა და ტექნიკური მხარდაჭერა.

1. **პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლება:**
   - **პროგრამული უზრუნველყოფის გამოწერა (Subscription-based)**
     - ყოველთვიური/ყოველწლიური გამოწერა;
   - **ლიცენზიები (License-based)**
     - სრულყოფილი მომხმარებელი (შეუზღუდავი წვდომა)
     - შეზღუდული მომხმარებელი (შეზღუდული წვდომა)
     - არაპირდაპირი წვდომა (indirect access)
   - **მოდულები (Module-based):**
     - ძირითადი მოდულები
     - დამატებითი მოდულები
   - **მომხმარებლების რაოდენობა (User-based)**
     - მომხმარებლების რაოდენობა
     - მომხმარებლების ჯგუფები
2. **პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურეობა და ტექნიკური მხარდაჭერა:**
   - **დანერგვა**
     - ინსტალაცია, გამართვა, აწყობა;
     - ტრენინგი;
     - ინტეგრაცია სხვა პლატფორმებთან
       - ბანკებთან;
       - დამატებითი სერვისების მიმწოდებელ კომპანიებთან;
       - საკურიერო კომპანიებთან;

        - სადაზღვევო კომპანიებთან;
        - ელექტრონული კომერციის პლატფორმის კომპანიაში დანერგილ პროგრამებთან;
        - კომპანიაში დანერგილ სხვა პროგრამულ უზრუნველყოფასთან;
    - დამატებითი ფუნქციონალის ჩაშენება, რომელსაც არ მოიცავს პროგრამის უკვე არსებული მოდულები;
    - დამატებითი ანალიტიკური რეპორტების შემუშავება (არასტანდარტული), საწარმოზე მორგებული საბეჭდი ფორმების შემუშავება;

- **ტექნიკური მხარდაჭერა**
    - ყოველთვიური/ყოველწლიური მხარდაჭერის ღირებულება

ზემოაღნიშნულ ხარჯებთან ერთად, ასევე დასაშვებია ბენეფიციარის მიერ ვებ გვერდის ან/და აპლიკაციის შექმნისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის და არა მხოლოდ) ანაზღაურება:

- ჰოსტინგის სერვისი
- დომენის რეგისტრაცია
- SSL სერთიფიკატი
- ტექნიკური მხარდაჭერა